საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №15/2024
2024 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №44/2021 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ღ[1]" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №44/2021 დადგენილება.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**